

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №6

ქ. ბათუმი

31 მაისი 2004 წელი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის სტატუსთან შეუთავსებლობის შემთხვევაში თანამდებობიდან გადადგომის ბოლო ვადის განსაზღვრის შესახებ;
2. საინიციატივო ჯგუფების მიერ უმაღლესი საბჭოს წევრების კანდიდატების წარდგენის ბოლო ვადის განსაზღვრის თაობაზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე ი. ფალავა, გ. მჭედლიძე, გ. დუაძე, ს. ჩხაიძე, ლ. ჩავლეიშვილი, ქ. ჯიქია, მ. წულუკიძე, გ. ბზიკაძე.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი ს. ლუმბაძე.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფალავამ. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსნება გააკეთა სხდომის თავმჯდომარემ. საკითხებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ლ. ჩავლეიშვილმა. გ. დუაძემ აღნიშნა, რომ საკითხს მხარს დაუჭერს კომისიის წევრების აზრის გათვალისწინებით. სხდომის მიმდინარეობის პროცესში კომისიის წევრებს შორის გაიმართა საუბარი დროებითი საბჭოს მიერ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით. კერძოდ გ. დუაძის აზრით ასეთი ცვლილება კანონში არ უნდა მიღებულიყო. კომისიის მდივნის აზრით კი შეუძლებელია ერთი და იგივე პიროვნება იყოს როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი, ასევე აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრიც. აღნიშნულ თემაზე ისაუბრა ასევე კომისიის წევრმა ს. ჩხაიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის სტატუსთან შეუთავსებლობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც უმაღლესი საბჭო ცნობს დეპუტატის უფლებამოსილების საკითხს. (ს. ჩხაიძის გამოსვლისას კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. დუაძემ დატოვა სხდომა). ს. ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ის არ არის მომხრე გადაიწიოს ვადა.

კომისიის თავმჯდომარემ დროებით შეწყვიტა სხდომის მიმდინარეობა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილესთან კონსულტაციის მიზნით.

სხდომის გაგრძელების შემდეგ გ. მჭედლიძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ნაცვლად „თანამდებობიდან გადადგომის ბოლო ვადისა“ უნდა დაფიქსირდეს „განცხადების შეტანის ბოლო ვადა“.

კომისიის წევრების მიერ კენჭი ეყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს გ. მჭედლიძის წინადადების გათვალისწინებით და მიღებული იქნა გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღებას მხარი არ დაუჭირა კომისიის წევრმა ს. ჩხაიძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა გ. მჭედლიძემ.

კომისიის თავმჯდომარემ დააყენა საკითხი კენჭისყრაზე, რომლის მიღებასაც მხარი დაუჭირა კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა.

კომისიის თავმჯდომარე:

ი. ფალავა

კომისიის მდივანი:

გ. მჭედლიძე